

**დადგენილება №53/2020** სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მუსიკისმცოდნეობის“ სპეციალობებზე „საეკლესიო მუსიკოლოგია“, „მუსიკის ისტორია“ და „მუსიკის თეორია“ სასწავლო კურსის სახელწოდების ცვლილების შესახებ

დადგენილება №53/2020, 22 ივლისი, 2020

**დადგენილება №53/2020** სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო

კონსერვატორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა


„მუსიკისმცოდნეობის“ სპეციალობებზე „საეკლესიო მუსიკოლოგია“, „მუსიკის ისტორია“ და „მუსიკის თეორია“ სასწავლო კურსის სახელწოდების ცვლილების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 16 ივლისის N08 სხდომის ოქმისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 ივლისის N26 სხდომის ოქმის საფუძველზე,

**აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. შევიდეს ცვლილება სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მუსიკისმცოდნეობის“ სპეციალობებზე „საეკლესიო მუსიკოლოგია“, „მუსიკის ისტორია“ და „მუსიკის თეორია“ სასწავლო კურსის სახელწოდებაში შინაარსისა და სახელწოდების თანხვედრაში მოყვანის მიზნით და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: ქართული ტრადიციული მუსიკის ჰარმონია, ქართული მუსიკის ჰარმონიის ნაცვლად.
2. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე [www.tsc.edu.ge](http://www.tsc.edu.ge)
3. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

ნანა შარიქაძე  
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

A handwritten signature in purple ink, appearing to be 'Nana Sharikadze' in Georgian script.